განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

ვეტერინარიის სწავლების
საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული
უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2018 წლის 6-7 ივნისი

დასკვნის წარდგენის
თარიღი
21.08.2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211325653
დაწესებულების სახე	**უნივერსიტეტი**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	უმაღლესი აკადემიური განათლების **II** საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	არ ენიჭება (კანონმდებლობისა და დარგის სპაციფიკის შესაბამისად) **0102**
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	**60**
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ტომას ჯეიმს ანდერსონი, BVMS, MVM, PhD, DSAO, DECVN, PFHEA, MRCVS გლაზგოს უნივერსიტეტი, შოტლანდია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარინე რამიშვილი ექიმი ვეტერინარი, სამედიცინო ვეტერინარიის დოქტორი დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ლუგარის ცენტრი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ჩიტაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრანტი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.

ეს ანგარიში ეხება შემოთავაზებულ 60 კრედიტიან პროგრამას, რომელიც შეიქმნა ვეტერინარიის ბაკალავრიატის შესახებ საკანონმდებლო ცვლილების თანახმად. პროგრამა შემუშავებულია იმ პირთა ხელშეწყობის მიზნით, რომლებმაც დაამთავრეს 4 წლიანი საბაკალავრო პროგრამა და არიან წარმატებული კანდიდატები სამაგისტრო დონეზე სწავლის გასაგრძელებლად, შესაბამისად, შემდგომში მოიპოვებენ დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების უფლებას. წარმატებული კანდიდატი მიიღებს სერტიფიკატს, რომელიც უფლებას მისცემს მას სადოქტორო საფეხურზე სწავლის გაგრძელების.

პროგრამაზე მიღება დამოკიდებულია ბაკალავრიატის ხარისხის ქონაზე და წარმატების მიღწევაზე უნივერსიტეტის (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი) მიერ განსაზღვრულ სპაციალურ შიდა გამოცდაში. პროგრამა შედგება 13 კურსისაგან ორი სემესტრის განმავლობაში (9 კურსი პირველ სემესტრში და 4 - მეორეში).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

გუნდი შედგებოდა 3 წევრისგან (პროფესორი თ.ჯ. ანდერსონი - თავმჯდომარე და საერთაშორისო ექსპერტი, დოქტორი მარინე რამიშვილი - ექსპერტი, საქართველოს ვეტერინართა წარმომადგენელი, ბ-ნი გიორგი ჭიტაშვილი - ექსპერტი, წარმოადგენდა სტუდენტებს).
ადგილზე ვიზიტი გაგრძელდა 2 დღე (2018 წლის 6-7 ივნისი) და მიმდინარეობდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კახა ბენდუქიძის სახელობის უნივერსიტეტის კამპუსში. ადგილზე ვიზიტისას განხორციელდა 8 ინტერვიუ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, ტური უნივერსიტეტის ტერიტორიაზე (სასწავლო ფართი, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, ლაბორატორიები, კლინიკური სიმძლავრეები) და უნივერსიტეტის გარეთ მდებარე ცხოველთა სასაკლაოზე, სადაც ტარდება სწავლების გარკვეული ნაწილი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** საერთო ჯამში: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1**პროგრამის მიზნები:** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2 **პროგრამის სწავლის შედეგები:** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა:** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.1 **პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2 **საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3 **სასწავლო კურსი:** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4 **პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და**

ტრანსფერული უნარების განვითარება: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.5 **სწავლება-სწავლის მეთოდები:** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.6 **სტუდენტების შეფასება:** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.1 **სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2 **მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა:** არ ეხება

4. **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა:** შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4.1 **ადამიანური რესურსები:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2 **აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.3 **მატერიალური რესურსები:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5. **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**:შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1**შიდა ხარისხის შეფასება:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2**გარე ხარისხის შეფასება:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3**პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.** საერთო ჯამში: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1 პროგრამის მიზნები: მეტწილად შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- პროგრამის მიზნები უნდა იყოს დაწერილი ნათლად, დაკვირვებადად, გაზომვადად და მკაფიოდ უკავშირებდეს მათ შეფასების შედეგებს.
- პროგრამა მოითხოვს პროგრამული დონის შეფასების გეგმას, რომელიც აღწერს თუ როგორაა თავის მხრივ აღწერილი პროგრამის მიზნები სასწავლო კურსის შეფასების შედეგებით.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- პროგრამის და სასწავლო კურსის შედეგების უნდა ასახავდეს სწავლის შედეგების ცოდნას, ქცევით და ემოციურ მხარეებს, როგორც ეს არის აღწერილი ბლუმის ტაქსონომიაში, ისე, რომ პროგრამის შედეგები უნდა იყოს გამჭვირვალე, დაკვირვებადი და გაზომვადი.
- პროგრამის განვითარების პროცესში აუცილებელია, რომ კურსის და პროგრამის შედეგები სწორად იყოს შედგენილი, ისე, რომ კურიკულუმის რუკა გახდეს კურსების შინაარსის მართვის საშუალება, შედეგებსა და შეფასებას შორის გამჭვირვალე ურთიერთკავშირით.

2. **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.** ჯამში: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3 სასწავლო კურსი: მეტწილად შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- კურსის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის შედეგებს.
- კურსის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს შეფასების მეთოდებს.

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები: მეტწილად შეესაბაისობაშია მოთხოვნებთან

- კურსის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს შეფასების მეთოდებს.

2.6 სტუდენტების შეფასება: მეტწილად შეესაბისობაშია მოთხოვნებთან

- პროგრამა სრულად უნდა აღწერდეს კომპეტენციის ქცევითი და ემოციური მხარეების მიწოდებას და შეფასებას.
- პრაქტიკული უნარები ფასდება უწყვეტი შეფასების პრინციპით. არ არსებობს კურსის განმავლობაში შეძენილი უნარების მოცულობის საერთო შემაჯამებელი შეფასება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.** ჯამში: მეტწილად შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან
    - **1.1. პროგრამის მიზნები:** მეტწილად შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან
    - ფაკულტეტის პერსონალმა უნდა გაიაროს ტრენინგი პროგრამის მიზნების წერაში, კურიკულუმის რუქის შედგენასა და შეფასებასთან მათ შესაბამისობაში მოყვანაში.
    - **1.2. პროგრამის სწავლის შედეგები:** მეტწილად შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან
    - ფაკულტეტის პერსონალმა უნდა გაიაროს ტრენინგი სწავლის შედეგების წერასა და კურიკულუმის რუქის შედგენაში.

2. **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.** ჯამში: მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი: შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- პროგრამა შედგება საკმაო რაოდენობის მცირე კურსებისაგან (2-5 ECTS), რომელთაგანაც ბევრი ერთსა და იმავე ან ანალოგიურ საგანს ეხება. იმდენად რამდენადაც, ყოველი კურსი ქმნის ადმინისტრაციული და შეფასების აქტივობების კომპლექტს, ამგვარი მიდგომა პროგრამის დიზაინისადმი ძალიან მომთხოვნია სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიმართ. ფაკულტეტმა უნდა განიხილოს კურსების შერწყმის საკითხი, სადაც ეს შეთავსებადი იქნება პროგრამის შედეგებთან, როგორც ადმინისტრაციული ეფექტიანობის გაზრდისა და პერსონალისა და სტუდენტების სხვა საქმიანობებისათვის დროის გამოთავისუფლების სტრატეგია.

2.3 სასწავლო კურსი: მეტწილად შესაბამისობაშა მოთხოვნებთან

- კურიკულუმის რუკა უნდა გაფართოვდეს, რათა მოიცვას კურსების სწავლის შედეგები.

2.6 სტუდენტების შეფასება: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- დაკავშირებული კურსების (სემესტრის) ბოლოს ყოვლისმომცველი პრაქტიკული შეფასება უნდა ჩაითვალოს პროგრამის ფარგლებში საერთო უნარების განვითარების საზომ მეთოდად. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) შეიძლება ბევრი სასწავლო კურსისათვის ჩაითვალოს შესაფერის

შეფასების ინსტრუმენტად, რადგან ამგვარი მიდგომა დამტკიცებული და აღიარებულია საერთაშორისო მასშტაბით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3 სასწავლო კურსი: მეტწილად შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე არსებული მასალის სპექტრი და ხელმისაწვდომობა.

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება: შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ფართო სპექტრის ურთიერთგაგების მემორანდუმების შექმნა, მათ შორის სამთავრობო სააგენტოებთან და ვეტერინარულ ფირმებთან, მნიშვნელოვნად გაზრდის ამ ახალი პროგრამის კურსდამთავრებულთა სწავლებისა და დასაქმების შესაძლებლობებს.

2.6 სტუდენტების შეფასება: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ონლაინ შეფასების უზრუნველყოფა და შეფასების ცენტრი.

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1 ადამიანური რესურსი: შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ფართო სპექტრის ურთიერთგაგების მემორანდუმების გაფორმება, მათ შორის სამთავრობო სააგენტოებთან და ვეტერინარულ ფირმებთან, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სწავლებას.

4.3 მატერიალური რესურსი: შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ხელმისაწვდომობის გასაზრდელად არსებითი ინვესტიცია თანამედროვე ლიტერატურის ქართულად თარგმანში (დღემდე $42,000)

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • პროგრამის მიზნები შედგენილია ვეტერინარიის სექტორის უმაღლესი განათლების მახასიათებლების მიხედვით, რომლებიც შემუშავდა დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის მიერ და განსაზღვრავენ საჭირო ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. • თუმცა, პროგრამის მიზნები არ არის დაწერილი ისეთ ენაზე, რომელიც ხელს შეუწყობდა მათ დაკვირვებად და გაზომვად აღწერას, მაშასადამე, შეფასების შედეგებთან მათი მკაცრად დაკავშირება შეუძლებელია. • პროგრამის შემუშავების დროს, ფაკულტეტი ხშირად ატარებდა კონსულტაციებს სტუდენტებთან და ვეტერინარული სექტორის გარე დაინტერესებულ მხარეებთან. პროგრამა ეფექტური გუნდური მუშაობის შედეგია და პროგრამის მიზნები ფართოდაა გაგებული. • პროგრამის მიზნები და წინაპირობები ხელმისაწვდომია
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი პროგრამის და სასწავლო კურსების შედეგების შედგენა არ მომხდარა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციის გამოყენებით. o პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრებამ მიანიშნა, რომ ყველა ძალისხმევა გატარდა, იმისათვის, რომ ახალი პროგრამა დამთხვეოდა სექტორის მახასიათებლებს, უზრუნველყოფილიყო მინიმალური გადაფარვა და არ გაპარულიყო ხარვეზი. მიუხედავად ამისა, კურიკულუმის რუკა არ შექმნილა კურსების სილაბუსების შედეგების დასაკავშირებლად პროგრამის შედეგებთან.

რეკომენდაციები:

- პროგრამის მიზნები უნდა იყოს ჩამოყალიბებული ისე, რომ მკაფიოდ აღწერდეს მათ, იყოს ურთიერთკავშირში და გაზომვადი.
- პროგრამა მოითხოვს პროგრამის დონეზე შეფასების გეგმას, რომელიც ასახავს, თუ როგორ უკავშირდება პროგრამის დონის მიზნები კურსების სწავლის შედეგებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ფაკულტეტის პერსონალმა უნდა გაიაროს ტრენინგი სწავლის შედეგების წერასა და კურიკულუმის რუქის შედგენაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • პროგრამისა და კურსის შედეგები მიმართულია პროფესიონალი ვეტერინარებისათვის საჭირო, ვეტერინარიის დარგის უმაღლესი განათლების მახასიათებლების შესაბამისი ცოდნისა და უნარების მისაღწევად. გარდა ამისა, ჩატარდა არსებითი კონსულტაციები ვეტერინარული სექტორის დაინტერესებულ მხარეებთან ვეტერინარული ბიზნესისა და სამთავრობო სააგენტოების საჭიროებების გასაცნობიერებლად. დამატებით, წარიმართა არსებითი შიდა კონსულტაციები პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. მიუხედავად ამისა, პროგრამის სწავლის შედეგები ვერ იქნა აღწერილი ისეთი ენით, რომ ყოფილიყო მკაფიოდ დაკვირვებადი და გაზომვადი. • ეს პროგრამა საშუალებას მისცემს მიმდინარე 4 წლიანი საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს აიმაღლონ ხარისხი და მიიღონ დოქტორანტურაში ჩაბარების უფლება. • ამ პროგრამის შედეგები გამოსადეგი იქნება ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, თუმცა ეს ჯერ კიდევ უნდა გამოიცადოს. • შეფასების სისტემაში არსებობს სხვადასხვა შეფასებები, რომლებიც ეხება რიგ შედეგებს, რომელთაც მოითხოვს სექტორის მახასიათებლები. მახასიათებლები დადგენილია უფრო მეტად კურსის დონეზე, ვიდრე პროგრამის შედეგების დონეზე. • პერსონალი კარგად იცნობს კურსის შეფასების შედეგებს და მათგან არსებობს პროფესიული განვითარების მხარდაჭერა. • შეფასების შედეგებთან დაკავშირებით სტუდენტებს აქვთ უკუკავშირი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში, კურიკულუმის რუკა და ინტერვიუები ადასტურებენ, რომ პროგრამისა და კურსების სწავლის შედეგების შემუშავებაზე შემდგომი მუშაობაა საჭირო, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კონსტრუქციული შესაბამისობა შეფასებასთან და ამით, დარწმუნება იმაში, რომ პროგრამის შედეგები მიღწეულია. o უნივერსიტეტის პერსონალთან (აკადემიური და მოწვეული) და სტუდენტებთან ინტერვიუებმა დაადასტურეს კურსებისა და პროგრამის შედეგებში მათი ფართოდ გათვითცნობიერება.

რეკომენდაციები: o პროგრამის და კურსების შედეგების დასაწერად გამოყენებული ენა უნდა ასახავდეს სწავლის შედეგების ცოდნას, ქცევით და ემოციურ მხარეებს, როგორც ეს არის აღწერილი ბლუმის ტაქსონომიაში, ისე, რომ პროგრამის შედეგები იყოს გამჭვირვალე, ურთიერთკავშირში და გაზომვადი. o პროგრამის შემუშავების პროცესში აუცილებელია, რომ კურსის და პროგრამის შედეგები სწორად იყოს შედგენილი, ისე, რომ კურიკულუმის რუკა გახდეს კურსების შინაარსის მართვის საშუალება, შედეგებსა და შეფასებას შორის გამჭვირვალე ურთიერთკავშირით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • ფაკულტეტის პერსონალმა უნდა გაიაროს ტრენინგი სწავლის შედეგების წერაში, კურიკულუმის რუკის შედგენაში და შეფასებასთან კონსტრუქციულ შესაბამისობაში მოყვანაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის		X		

შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • უნივერსიტეტი აღიარებს მის მნიშვნელოვან პასუხისმგებლობას, რადგან ეს არის ერთადერთი ინსტიტუცია, რომელიც გეგმავს პროგრამის განხორციელებას, რომელსაც მივყავართ პროფესიონალი ვეტერინარის აღიარებამდე და სადოქტორო სწავლების ხელმისაწვდომობამდე. ეს პროგრამა შემუშავებულია არსებული საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შესაძლებლობის მისანიჭებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ამ პროგრამისთვის აუცილებელი წინაპირობა ნათელია და საჭიროებს ბაკალავრის ხარისხს ვეტერინარული სფეროს / სპეციალობის მითითებით, როგორც ეს აღნიშნულია პროგრამის დოკუმენტში.
რეკომენდაციები: არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ ეხება
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • პროგრამა შეიქმნა ფართო კონსულტაციების ინტენსიური პერიოდის შედეგად და აკმაყოფილებს უმაღლესი განათლების ვეტერინარული სექტორის მახასიათებლების მოთხოვნებს. • ეს პროგრამა სპეციალურად იქნა შემუშავებული წინაპირობად საბაკალავრო პროგრამის გათვალისწინების მოსაზრებით. • პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურია. • პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობისა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. • პროგრამა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანამედროვე სამეცნიერო მიგნებებს და უნარ-ჩვევების განვითარებას
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ თვითშეფასების ანგარიში, კურსების სილაბუსები და ინტერვიუები ადასტურებს პროგრამის დიზაინისა და შედეგების ფართო ცოდნას.
რეკომენდაციები: არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ ეხება
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • კურიკულუმის რუკა არ აღწერს სრულად კურსების შედეგების შესაბამისობას პროგრამის შედეგებთან, რადგან იგი არაა დასრულებული დეტალების დონეზე. • სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება კურსის კრედიტებს. • შედეგებში გამოყენებული დესკრიპტორები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს სამაგისტრო დონეს. • ზოგიერთ კურსში შეიმჩნევა გამჭვირვალობის ნაკლებობა სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებში, რის გამოც გაურკვეველია მოხდა თუ არა სწავლის ყველა შედეგის შეფასება

- უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელა უახლესი წიგნების და სხვა ლიტერატურის თარგმანში, რომლებიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კურიკულუმის რუკა არ არის დასრულებული, რადგან არ მოიცვას სასწავლო კურსების შედეგებს.
- გამჭვირვალობის ნაკლებობა ზოგიერთი კურსის სილაბუსში შედეგებისა და შეფასების ურთიერთობასთან დაკავშირებით.
- მასალები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე

რეკომენდაციები:

- კურსის შედეგები უნდა იქნას ასახული პროგრამის შედეგებში.
- კურსის შდეგები უნდა იქნეს ასახული შეფასების მეთოდებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კურიკულუმის რუკა უნდა გაფართოვდეს, რათა მოიცვას კურსების შედეგები

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე არსებული მასალის სპექტრი და ხელმისაწვდომობა.

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო უნარების განვითარებას, მათი კვლევით პროექტებში და ფართო სპექტრის პროფესიულ საქმიანობაში ჩართვით. ამის მიღწევა ხდება დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობით, ურთიერთგაგების მემორანდუმის მხარდაჭერით. ეს ურთიერთობები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის დოკუმენტაცია o ინტერვიუები ლექტორებთან, მოწვეულ ლექტორებთან და დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ფართო სპექტრის ურთიერთგაგების მემორანდუმების გაფორმებამ, მათ შორის სამთავრობო სააგენტოებთან და ვეტერინარულ ფირმებთან, მნიშვნელოვნად გაზარდა ამ ახალი პროგრამის კურსდამთავრებულთა სწავლებისა და დასაქმების შესაძლებლობები.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ ეხება
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლის შედეგებს, მაგრამ ზოგიერთ სილაბუსს აკლია გამჭვირვალობა იმ კუთხით, თუ რამდენად უზრუნველყოფს შეფასება უნარების მიღწევას.
- არსებობს მოქნილობა ვეტერინარიის დარგის უმაღლესი განათლების მახასიათებლების შესაბამისი მოთხოვნების კონტექსტში ინდივიდუალური სტუდენტების საჭიროებების გასათვალისწინებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და კურსების სილაბუსები
- ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

კურსის შედეგები უნდა იქნას ასახული შეფასების მეთოდებში

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ ეხება

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამისა და კურსების დოკუმენტაცია ნათლად ადასტურებს თუ როგორ შეესაბამება კურსების შეფასების პროცედურები საქართველოს კანონმდებლობას.
- შეფასებების დიდი უმეტესობა წერითია და ხორციელდება ონლაინ სისტემის მეშვეობით უნივერსიტეტის შეფასების ცენტრში. შეფასების ცენტრი არის დახვეწილი დიზაინის, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს კარნახს.
- შეფასების შედეგები ვლინდება ვირტუალური სასწავლო გარემოს ინსტრუმენტის Moodle-ის გამოყენებით, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს შეუძლიათ საკუთარი შედეგებისა და ნებისმიერი უკუკავშირის ნახვა.
- პრაქტიკული შეფასებები მიიღება პრაქტიკულ გარემოში, შეფასების მოთხოვნების შესახებ დეტალური ინფორმაციით მხოლოდ კურსის მასალებში.
- გასაჩივრების პროცესი აღწერილია პროგრამის დოკუმენტაციაში.
- შეფასების შედეგების შეჯერების პოლიტიკა და პროცედურები კურსისა და პროგრამის მენეჯმენტის ინფორმირებისათვის შემუშავებულია, თუმცა ეს პროგრამა ახალია და დღეისათვის ამაზე მონაცემები არ არსებობს.
- პრაქტიკული უნარები ფასდება უწყვეტი შეფასების პრინციპით. არ არსებობს კურსის განმავლობაში მიღებული უნარების მოცულობის საერთო შემაჯამებელი შეფასება. ამგვარი მიდგომით არსებობს რისკი, რომ სტუდენტი ვერ შეინარჩუნებს რიგ მიწოდებულ უნარებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და კურსების დოკუმენტაცია
- ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან
- უნივერსიტეტის შეფასების ცენტრში ვიზიტი

რეკომენდაციები:

▪ საკურსო დოკუმენტაცია სრულად უნდა აღწერდეს კომპეტენციის ქცევითი და ემოციური მხარეების გადაცემას და შეფასებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ დაკავშირებული კურსების (სემესტრის) ბოლოს ყოვლისმომცველი პრაქტიკული შეფასება უნდა ჩაითვალოს პროგრამის ფარგლებში საერთო უნარების განვითარების გასაზომ მეთოდად. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) შეიძლება ბევრი სასწავლო კურსისათვის შესაფერის შეფასების ინსტრუმენტად ჩაითვალოს, რადგან ამგვარი მიდგომა დამტკიცებულია და საერთაშორისო მასშტაბითაა აღიარებული.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o ონლაინ შეფასების უზრუნველყოფა და უნივერსიტეტის შეფასების ცენტრი.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o არ ეხება
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • უნივერსიტეტი ეხმარება სტუდენტებს დეკანის სამსახურის მეშვეობით. • დეკანის სამსახურს გააჩნია რესურსები სტუდენტთათვის ხელმისაწვდომი რიგი მომსახურების უზრუნველსაყოფად. • სტუდენტებს უკავშირდებიან რეგულარულად ელ-ფოსტით ან Moodle-ის ფორუმების მეშვეობით (მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს უფრო ფოკუსირებულ კომუნიკაციას საერთო ინტერესების მქონე ჯგუფებთან). • პროგრამა ხელმისაწვდომს ხდის ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო შესაძლებლობებს (სამ საერთაშორისო უნივერსიტეტთან ურთიერთგაგების მემორანდუმების მეშვეობით). • აქტივობები, როგორიცაა კარიერული გამოფენა-ბაზრობები, მიეწოდება სტუდენტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების მიმოხილვა o ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პერსონალთან და სტუდენტებთან
რეკომენდაციები: არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o არ ეხება

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არ ეხება
მტკიცებულებები/ინდიკატორები არ ეხება
რეკომენდაციები: არ ეხება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ ეხება
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
• პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; • პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; • პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; • პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • ვეტერინარული მედიცინის ფაკულტეტის პერსონალს, მოწვეულ პროფესორებთან/ლექტორებთან ერთად გააჩნია ვეტერინარული სპეციალიზაციის

აუცილებელი კვალიფიკაცია და გამოცდილება, რათა შეძლონ სტუდენტთა დახმარება პროგრამის შედეგების მიღწევაში.

- პროგრამის დაკომპლექტება შიდა და გარე კადრების გამოყენებით არა მარტო გვარწმუნებს იმაში, რომ კურსების სათანადო მიწოდება შესაძლებელია, არამედ უზრუნველყოფს იმასაც, რომ არსებობდეს კარგი კომუნიკაცია, რაც ხელს შეუწყობს თანამშრომლობას.
- პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს პროგრამის მენეჯმენტისათვის საჭირო უნარებსა და გამოცდილებას და აქტიურად იყო ჩართული ამ ახალი პროგრამის შემუშავებაში.
- პროგრამას გააჩნია ადეკვატური დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o თვითშეფასების ანგარიში
- o ინტერვიუები შიდა და გარე მონაწილე მხარეებთან
- o ინტერვიუები სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o ფართო სპექტრის ურთიერთგაგების მემორანდუმების გაფორმება, მათ შორის სამთავრობო სააგენტოებთან და ვეტერინარულ ფირმებთან მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სწავლებას.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ ეხება

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • პერსონალის შეფასება ხდება რეგულარულად მათი სამუშაოს აღწერილობის მიხედვით, რომელიც შედგება რამდენიმე ობიექტური დესკრიპტორისაგან, მათ შორის კურსის შეფასებისაგან. • მოქმედებს განვითარების რეგულარული კურსები, ხოლო იმ პირებისათვის, რომელთა კურსის მონიტორინგის პროცესი გამოავლენს რაიმე ნაკლოვანებას - ინიშნება სავალდებულო ტრენინგი. • პიროვნული განვითარების მხარდასაჭერად დაწესებულია უნივერსიტეტის დაფინანსება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და შიდა/გარეშე პერსონალთან
რეკომენდაციები: არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ ეხება
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • ბიბლიოთეკა წარმოადგენს შესანიშნავ ობიექტს სხვადასხვა სასწავლო კუთხეებით, შესაბამისი ფართის სასწავლო სივრცით და დაკომპლექტებულია ბიბლიოთეკის თანამშრომლებით. • ბიბლიოთეკას გააჩნია ძირითადი ლიტერატურის ფიზიკური ასლები, რომელთა ადგილმდებარეობის ნახვა შესაძლებელია ონლაინ ბიბლიოთეკის სისტემაში. • ელექტრონული ბიბლიოთეკის სისტემა ფლობს თანამედროვე ძირითადი და სხვა ლიტერატურის ფართო სპექტრს (რომელთა დიდი ნაწილი სპეციალურადაა თარგმნილი ვეტერინარიის სტუდენტებისათვის) • ელექტრონული ბიბლიოთეკის სისტემა ხელმისაწვდომია როგორც კამპუსში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. • უნივერსიტეტს გააჩნია კარგად აღჭურვილი ლაბორატორიები ადეკვატური ფართით. • აქვე, კამპუსშია განთავსებული საჯარო ვეტერინარული კლინიკა • კლინიკური უნარების ლაბორატორია • ეროვნული არტეფაქტების მუზეუმი
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან o ბიბლიოთეკაში ვიზიტი წიგნებისა და სხვა ლიტერატურის ონლაინ მიწოდების დემონსტრირებით

- ნათარგმნი მასალის ნიმუშების დათვალიერება
- სასწავლო ფართების მონახულება

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ხელმისაწვდომობის გასაზრდელად არსებითი ინვესტიცია თანამედროვე ლიტერატურის ქართულად თარგმანში (დღემდე $42,000)
- კლინიკური უნარების სასწავლო ლაბორატორიის შექმნა
- ვეტერინარული კლინიკის არსებობა

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ ეხება

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- უნივერსიტეტის უფროსი ადმინისტრაციული პერსონალი მტკიცედ გამოხატავს პროგრამისადმი მხარდაჭერას.
- ფაკულტეტის დეკანმა და პროგრამის ხელმძღვანელმა გამოთქვეს დიდი კმაყოფილება უნივერსიტეტის მიერ ინფრასტრუქტურის განვითარებაში

ინვესტირების გამო, რაც მხარს უჭერს პროგრამის ამბიციებს.

- პერონალი მიესალმა უნივერსიტეტის მიერ იმ ლაბორატორიებსა და კლინიკებში ინვესტიციებს, სადაც ისინი მუშაობდნენ
- სტუდენტებმა აღნიშნეს მნიშვნელოვანი ინვესტიციების შესახებ ლაბორატორიებსა და კლინიკებში.
- მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები აღნიშნავდნენ მნიშვნელოვანი ინვესტიციის შესახებ ლაბორატორიასა და კლინიკებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და ფაკულტეტის დეკანებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან
- ინტერვიუები გარეშე პერსონალთან და დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ ეხება

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს გააჩნია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები, რომლებიც იმართება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მეშვეობით, როგორც აღწერილია: o ყოველ სემესტრში ტარდება ანონიმური გამოკითხვები ; o გამოკითხვა ხდება პერსონალსა და სტუდენტების; o შედეგები უბრუნდება პროგრამის ხელმძღვანელებს; o შეფასების შედეგების ანალიზი უბრუნდება პროგრამის ხელმძღვანელებს; o თუ გამოკითხვის შედეგებიდან გამოვლინდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელობის სისუსტე, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მექანიზმი, რომ ჩაერიოს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მეშვეობით. ამ პროგრამის შედეგები გამოსადეგი იქნება ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, თუმცა ისინი ჯერ კიდევ გამოსაცდელია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, პერსონალთან და სტუდენტებთან

რეკომენდაციები: არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ ეხება
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს გააჩნია გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები, რომლებიც იმართება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მეშვეობით, როგორც აღწერილია: o ტარდება ანონიმური გამოკითხვები o გამოკითხვები მოიცავს გარე დაინტერესებულ მხარეებს o შედეგები უბრუნდება პროგრამის ხელმძღვანელებს ინფრასტრუქტურა, რომელმაც უნდა გამოიყენოს ამ პროგრამის შედეგები გასაუმჯობესებლად, არსებულია და ყოველდღიურად ხდება მისი გამოყენება სხვა პროგრამებში, მაგრამ საჭიროა ჯერ კიდევ სწორედ ამ პროგრამაში მისი გამოცდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და გარე დაინტერესებულ მხარეებთან
რეკომენდაციები: არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ ეხება
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o უნივერსიტეტი ახდენს კურსების გადახედვას, როგორც ეს აღწერილია 5.1-ში. o პროგრამის გარე განხილვის ანგარიში ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მიეწოდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. o შიდა მიმოხილვას ყოველწლიურად ახორციელებს დეპარტამენტი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული

კვლევების მონაცემების გამოყენებით. o ამ პროგრამის შედეგები გამოსადეგი იქნება ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, თუმცა ისინი ჯერ კიდევ გამოსაცდელია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან
რეკომენდაციები: o არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o არ არის
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ვეტერინარის სწავლების საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 33 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის სახელი, გვარი, ხელმოწერა

პროფესორი თომას ჯეიმს ანდერსონი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის სახელი, გვარი, ხელმოწერა

მარინე რამიშვილი



გიორგი ჭითაშვილი